სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: ასირიოლოგია / Assyriology

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მაია ღამბაშიძე

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
ასირიოლოგიის სადოქტორო პროგრამა არის ინტერდისციპლინარული ხასიათის და მოიცავს ძველი წინა აზიის ისტორიის, ფილოლოგიის, ეთნოლოგიისა და კულტუროლოგიის ფარგლებში შემავალი პრობლემატიკის კვლევას. საკვლევი თემატიკა საკმაოდ ვრცელია და მოიცავს ძველ წინა აზიურ კულტურათა კვლევის მრავალ ასპექტს, კერძოდ: ისტორიოგრაფიულ, ეთნოლოგიურ, რელიგიურ, ლინგვისტურ, ლექსიკოლოგიურ და მრავალ სხვა პრობლემატიკას. ეს მიმართულებები ყველაზე აქტუალურია მსოფლიო ასირიოლოგიური ცენტრებში, მათ შორის საქართველოშიც.

ა) მიზანი
პროგრამის მიზანია შეინარჩუნოს და გააძლიეროს ქართული ასირიოლოგიური სამეცნიერო სკოლის ტრადიციები ,რომელსაც დაარსებიდან 2005 წლამდე ხელმძღვნელობდა აკად. გრიგოლ გიორგაძე, და მოამზადოს დოქტორები როგორც საკუთრივ ასირიოლოგიური, ისე ქართველოლოგიური კვლევებისთვის. საქართველოში ასირიოლოგიის დარგის არსებობას საფუძვლად ედო სწორედ უნივერსიტეტის დამაარსებლების მიერ მიზნად დასახული საკითხი, ასირიოლოგიის საკვლევი პრობლემატიკა ყოველთვის უშუალო და მჭიდრო კავშირში იყო კავკასიოლოგიურ პრობლემატიკასთან.

ბ) პროგრამის შედეგი:

დარგობრივი კვალიფიკაცია, ცოდნა, კომპეტენციები, უნარ-ჩვევები

პროგრამა უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევითი მუშაობის უნარის გამომუშავებას. ასირიოლოგიის პროგრამის დოქტორანტს უნდა შეეძლოს:

დარგობრივი ცოდნა:
ძველწინააზიური ტექსტების ლინგვისტურ-ისტორიული ანალიზი, ტექსტების ტრანსლიტერირება-ტრანსკრიპცია, ტექსტებისათვის ფილოლოგიური კომენტარების გაკეთება, კონკრეტული საკითხების კვლევა ძველი წინა აზიის ისტორიის, ფილოლოგიის, ლიტერატურის, რელიგიის, ხელოვნების განხრით;
პრაქტიკაში მისი გამოყენება:
მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოქმედებითი განვითარება; ასირიოლოგიის ძირითად საკვლევ პრობლემატიკაში კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიური საფუძვლების ათვისება-გაგება;
ზოგადი (ტრანსფერული) უნარები:
სხვა დარგების წარმომადგენლებთან კოოპერაციით ცალკეულ საკითხთა და პრობლემათა ინტერდისციპლინური კვლევა; ცოდნის პრაქტიკული გამოყენება როგორც სასწავლო, ასევე სამეცნიერო-კვლევით პროცესებში.

გ) კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები
დოქტორის ხარისხის მქონეს შესაძლებლობა ექნება:

- იმუშაოს შესაბამის სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში (კერძოდ, უნივერსიტეტებში, ჰუმანიტარული პროფილის კვლევით ინსტიტუტებში) სპეციალობის მიხედვით;
- იყოს ასირიოლოგიის, ე.ი. ძველი წინა აზიის ისტორიის, ენებისა და კულტურის ექსპერტი;
- პროფილის მიხედვით იგი შეიძლება დასაქმდეს შესაბამის სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში;

- საერთაშორისო ორგანიზაციებში;
- არქივებში;
- მუზეუმებში;
- საგამომცემლო ორგანიზაციებში და ა.შ.;
- მისი კომპეტენციის სფერო მოიცავს ძველი წინა აზიის პრობლემატიკის საკმაოდ ფართო სპექტრს.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

- მაგისტრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში;
- ინგლისური ენის ცოდნა (B 2).

სასწავლო კომპონენტი
ასირიოლოგიის დოქტორანტურის პროგრამაში სწავლება 3 წლიანია (6 სემესტრი). პროგრამის ზოგადი სტრუქტურა ძირითადად მიჰყვება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო კომპონენტის ზოგად სქემას:

სასწავლო კომპონენტი
სავალდებულო - (35 კრედიტი)
სწავლების თანამედროვე მეთოდები - 5 კრედიტი
მეცნიერების მენეჯმენტი - 5 კრედიტი
დოქტორანტის I კოლოკვიუმი - 5 კრედიტი
დოქტორანტის II კოლოკვიუმი - 5 კრედიტი
პროფესორის ასისტენტობა - 15 კრედიტი
არჩევითი - (25 კრედიტი)
საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები - 5-30 კრედიტი
პრაქტიკა - 5-10 კრედიტი
კვლევის მეთოდები - 5 კრედიტი
აკადემიური წერა - 5 კრედიტი
სხვა სახის აქტივობა - 5-10 კრედიტი
უცხოეთის აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი/კურსები - 5-30 კრედიტი
კვლვითი კომპონენტი - 120 კრედიტი

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასირიოლოგიის დეპარტამენტს დოქტორანტების მოსამზადებლად აქვს სათანადო ტექნიკურ-მატერიალური ბაზა. დოქტორანტს შეუძლია ისარგებლოს:

- თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბიბლიოთეკით;
- ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკით (თსუ V კორპუსი;
- აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკით;
- თსუ ინტერნეტული მომსახურების ცენტრით;
- "ასირიოლოგთა, ბიბლეისტთა და კავკასიოლოგთა საზოგადოების" ბიბლიოთეკით;

- ხელმძღვანელის პირადი ბიბლიოთეკით.
- პროგრამის უზრუნველსაყოფად სასურველი იქნებოდა აგრეთვე, ასირიოლოგიის დეპარტამენტის ბიბლიოთეკა შეივსოს კერძოდ იმ თანამედროვე ლიტერატურით, რომელიც უკავშირდება დოქტორანტების საკვლევ თემებს.
- საჭიროების შემთხვევაში სადოქტორო თემების მასალების სრულყოფისთვის დოქტორანტები გაიგზავნებიან მოკლევადიან სტაჟირებებზე ამერიკისა და ევროპის უნივერსიტეტებში, რომლებთანაც თსუ ასირიოლოგიის დეპარტამენტს აქვს სამეცნიერო-სასწავლო კონტაქტები.

მიუთითეთ რამდენი დოქტორანტის მიღებაა შესაძლებელი ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე.
პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით შესაძლებელია ყოველწლიურად 2 დოქტორანტის მიღება და მომზადება. ჩარიცხული დოქტორანტებისთვის პროგრამის ხელმძღვანელი დააყენებს ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭოს წინაშე დოქტორანტის ხელმძღვანელის დამტკიცების საკითხს;

პროგრამაში ჩართული პროფესორები
პროგრამაში ჩართული არიან თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასირიოლოგიის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი მაია ღამბაშიძე და ასისტ. პროფესორი ნინო სამსონია. საჭიროების შემთხვევაში, ასირიოლოგიის დოქტორანტურის პროგრამაში მოწვეულნი იქნებიან დარგის პროფესორები.